



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

საინფორმაციო ფურცელი Nr. D3c: ვიზა ენის (ინტენსიურ) კურსზე დასასწრებად

ნოემბერი 2019

ზოგადი ინფორმაცია

თუ უშუალოდ ენის კურსის შემდეგ აპირებთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დაწყებას, მაშინ ამ საინფორმაციო ფურცლის ნაცვლად უნდა გაეცნოთ საინფორმაციო ფურცელს Nr.D3a („ვიზა უმაღლეს სასწავლებელში სწავლისა და უმაღლეს სასწავლებლებში განაცხადების შეტანისათვის“). წინამდებარე საინფორმაციო ფურცელში მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ ენის კურსების შესახებ, რომლებსაც არ მოსდევს შემდგომ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში.

ყველა საბუთი უნდა შემოიტანოთ **ორიგინალში** ორ ასლთან ერთად. უცხოენოვან საბუთებს თან უნდა დაურთოთ გერმანული თარგმანი. უცხოური საბუთები მოქალაქეთა მდგომარეობის შესახებ (მაგ. დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა და ა.შ.) აუცილებლობის შემთხვევაში უნდა იყოს ლეგალიზებული ან დამოწმებული აპოსტილით. იგივე სახის ქართულ საბუთებს უნდა ჰქონდეს აპოსტილი.

ვიზის მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

- სრულყოფილად შევსებული და პირადად ხელმოწერილი ორი [საგანაცხადო ანკეტა](#);
 - განმცხადებლის შემთხვევაში, რომელსაც ჯერ არ შეუსრულდა 18 წელი, განაცხადზე ხელი უნდა მოაწეროს მზრუნველობის უფლების მქონე ყველა პირმა.
 - თუ მზრუნველობის უფლების ერთ-ერთ პირს არ შეუძლია განაცხადზე ხელის მოწერა, მან წერილობით, ნოტარიულად დამოწმებული ფორმით უნდა განაცხადოს თანხმობა სავიზო განაცხადის შემოტანაზე.
 - ამ შემთხვევაში უნდა დაურთოთ ამ პირის პასპორტის ან პირადობის მოწმობის სურათიანი გვერდის ორი ასლი.
- პირადად ხელმოწერილი ორი განაცხადება უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-8 ქვეპუნქტის შესაბამისად ამავე კანონის 53-ე მუხლიდან გამომდინარე, რომლის ნახვაც შესაძლებელია გერმანიის საელჩოს ვებ-გვერდზე (არასრულწლოვანი განმცხადებლის შემთხვევაში იხილეთ ზემოთ მოცემული ინფორმაცია);
- სამოგზაურო პასპორტი (და სურათიანი გვერდის ორის ასლი);
- მათთვის, ვინც არ არის საქართველოს მოქალაქე: საქართველოში ცხოვრების უფლების დამადასტურებელი საბუთი;
- ორი ბიომეტრიული ფოტოსურათი (ცალკე დაურთეთ განაცხადს);

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

- ენების სკოლის მიწვევა, სადაც მითითებულია ენის კურსის ჩატარების ადგილი, კურსის ხანგრძლივობა და ენის ცოდნის დონე კურსის დაწყებამდე და კურსის ბოლოს, ასევე საათების რაოდენობა კვირაში (იხილეთ „მნიშვნელოვანი მითითებები“) და მთლიანი კურსის საფასურის გადახდის დასტური. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ საინტეგრაციო კურსი არ არის ამ საინფორმაციო ფურცლით გათვალისწინებული ენის კურსი!
- დასტური საკმარისი ფინანსური სახსრების შესახებ, რომელიც უნდა წარმოადგენდეს 853 ევროს თვეში დაგეგმილი ენის კურსის მთლიანი ხანგრძლივობის განმავლობაში. (მაგალითად: ექვსთვიანი კურსის შემთხვევაში უნდა გქონდეთ 5118 ევრო, ხოლო ცხრათვიანი კურსის შემთხვევაში 7677 ევრო). გთხოვთ, გაეცნოთ შესაბამის ინფორმაციას საელჩოს საინფორმაციო ფურცელში D3f.
- წინარე განათლების დამადასტურებელი საბუთები: სასკოლო და საუნივერსიტეტო ატესტატები და დიპლომები.
- თუ გერმანიაში ენის კურსს არ იწყებთ უშუალოდ სკოლის დამთავრების ან ბოლო უმაღლეს სასწავლებელში სწავლის შემდეგ: ამ შუალედურ პერიოდში საქმიანობის დამადასტურებელი საბუთები.
- თუ ამჟამად სწავლობთ საქართველოს რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში: ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან და საჭიროების შემთხვევაში ლექციებიდან განთავისუფლების საბუთი.
- გერმანულ ენაზე შედგენილი და ხელმოწერილი სამოტივაციო წერილი, რომელშიც დეტალურად აღწერთ ენის დაგეგმილ კურსზე სწავლის მიზეზებსა და მომავლის გეგმებს. აქვე მიუთითეთ, თუ რატომ უნდა გაიაროთ ენის კურსი გერმანიაში და როგორ, სად და რამდენი ხანი სწავლობდით გერმანულს.
- არსებობის შემთხვევაში: თქვენი დამსაქმებლის ცნობა, სადაც დადასტურებულია, რომ გერმანული ენის ცოდნა აუცილებელია თქვენი მომავალი პროფესიული განვითარებისთვის და მითითებულია მიზეზები, ასევე დასაქმების ადგილზე მუშაობის პერიოდი, თანამდებობა და თვიური ხელფასი.
- სრული ტაბელარული ბიოგრაფია გერმანულ ენაზე, სადაც მითითებულია თქვენი წინარე განათლება და საქმიანობა, ასევე ზუსტი მისამართი და ტელეფონები.
- თუ უკვე სწავლობდით გერმანულ ენას: სწავლის დამადასტურებელი საბუთი, მაგალითად ენის სერტიფიკატი.
- საჭიროების შემთხვევაში სხვა დამადასტურებელი საბუთები.
- განმცხადებლებისთვის, რომლებსაც ჯერ არ შეუსრულდათ 18 წელი:
 - მზრუნველობის უფლების მქონე პირთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა ბავშვის მართო გამგზავრებისა და გერმანიაში ხანგრძლივი (!) ცხოვრების შესახებ, ასევე
 - წერილობითი საბუთი, ვის გადასცემენ მშობლები ბავშვის გერმანიაში ყოფნისას მასზე მზრუნველობის უფლებას ამ პირის პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლით, ასევე
 - განმცხადებლის დაბადების მოწმობის ორი ასლი (თუ ეს ასლები უკვე არ იქნა წარდგენილი დაფინანსების დადასტურებისას)

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადაადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

- სავიზო განაცხადზე დადებითი პასუხის შემთხვევაში ვიზის მიღებამდე უნდა წარმოადგინოთ მოქმედი სამედიცინო დაზღვევის საბუთი, თუ ეს საბუთი უკვე წინასწარ არ გაქვთ ჩაბარებული.

გთხოვთ, ყველა საჭირო საბუთი წარმოადგინოთ ზემოთ მოცემული თანმიმდევრობით სამ კომპლექტად და შესაბამისი საბუთის წინ არსებულ პატარა ოთხკუთხედში მოხაზოთ, რომ შეგიძლიათ იქ მითითებული საბუთის წარმოდგენა.

გთხოვთ, საბუთები შემდეგი თანმიმდევრობით დააწყოთ:

- პირველ და მეორე კომპლექტებში: შესაბამისად თითო-თითო ანკეტა და განაცხადება ყველა სხვა დოკუმენტების ასლებთან ერთად მოცემული თანმიმდევრობით;
- მესამე კომპლექტში: ყველა ორიგინალი საბუთი მოცემული თანმიმდევრობით.

მნიშვნელოვანი მითითებები:

- განაცხადის შემოტანისას ან განაცხადის განხილვისას შეიძლება მოვითხოვოთ დამატებითი საბუთები, რომლებიც აქ არ არის მითითებული.
- აუცილებელია, განასხვაოთ, გსურთ თუ არა უმაღლეს სასწავლებელში სწავლისათვის მოსამზადებელ ენის კურსზე დასწრება, თუ „იზოლირებულ“ ენის კურსზე, რომელიც არ ემსახურება უმაღლეს სასწავლებელში სწავლისათვის (უშუალოდ) მომზადებას. თუ ენის კურსის შემდეგ პირდაპირ აპირებთ სწავლის დაწყებას უმაღლეს სასწავლებელში, მაშინ ეს საინფორმაციო ფურცელი თქვენთვის არ არის გათვლილი. გთხოვთ, გაეცნოთ საინფორმაციო ფურცელს Nr.D3f. წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი კი ეხება მოხლოდ ენის კურსებს, რომლებსაც არ მოსდევს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში.
- უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის მე-16b მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ენის კურსებად ითვლება მხოლოდ ინტენსიური ენის კურსები. როგორც წესი, ასეთი კურსების დროს მეცადინეობები უნდა ტარდებოდეს ყოველ დღე და შეადგენდეს კვირაში მინიმუმ 18 საათს. საღამოს და შაბათ-კვირის კურსები საკმარისი არ არის. ენის კურსი გათვლილი უნდა იყოს ენის საფუძვლიანი ცოდნის მიღებაზე და მისი ხანგრძლივობა წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული.
- გერმანული ენის წინასწარ ცოდნა არ არის აუცილებელი, მაგრამ ვიზის მიღების აუცილებლობის შემოწმებისას შეიძლება მნიშვნელობა იქონიოს კითხვამ, ეცადეთ თუ არა თქვენს სამშობლოში არსებული შესაძლებლობების ფარგლებში გერმანული ენის სწავლა მინიმუმ ელემენტარულ დონეზე (A1). თუ ნამდვილად გაგაჩნიათ გერმანული ენის საკმარისი ცოდნა, შეგიძლიათ საელჩოში პირადად დაბარებისას გასაუბრების დროს ამის დადასტურება მოახდინოთ.
- ენის კურსის დროს სამუშაო საქმიანობის დაწყება არ არის დაშვებული.

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

- ენის კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ შესაძლებელია გერმანიაში დარჩენა სხვა მიზნით, თუ უნდა გააგრძელოთ სწავლა პროფესიული განათლების მისაღებად ან შეუდგეთ სამუშაო საქმიანობას. დასტურისათვის საკმარისია სერტიფიკატის წარდგენა.
- როგორც წესი, განაცხადის განხილვას სჭირდება ექვსიდან რვა კვირამდე. ერთეულ შემთხვევებში ეს დრო შეიძლება გაიზარდოს.
- გთხოვთ, არ მოგვმართოთ შეკითხვებით ჩაბარებული სავიზო განაცხადის განხილვის პროცესში. მონაცემთა დაცვის სამართლებრივი მიზეზების გამო ჩვენ ვერ გავცემთ ტელეფონით ინფორმაციას სავიზო განაცხადების განხილვის შესახებ.
- სავიზო განაცხადის შემოტანის საფასური შეადგენს 75 ევროს (18 წლამდე - 37,50 ევროს) და გადახდილ უნდა იქნეს განაცხადის შემოტანისას იმ დღეს არსებული აქტუალური კურსით ლარში. საფასურის გადახდა სხვა ვალუტაში ან სადებეტო/საკრედიტო ბარათებით შეუძლებელია.

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ საბუთები სრულყოფილი სახით წარმოადგინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, თქვენი სავიზო განაცხადი უარყოფილ იქნეს.

ჩვენ რეგულარულად ვანახლებთ ამ საინფორმაციო ფურცელს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ მასში მოცემული ინფორმაცია არ იყოს სრულყოფილი. ერთეულ შემთხვევებში შეიძლება დაგჭირდეთ დამატებითი საბუთების ჩაბარება.

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.